

№ 12

სოფელ-ქვირეული სალიტერატურო ჟურნალი

№ 12

შინაარსი: ვ. რუსაძე - ლექსი „ახლა კი მიხვდი“; სპირლონ მცირეშვილი—მოთხ. „ჩემი დღიური“; ნ. ზომ-  
ლეთელი—ლექ. „სტრიქონები“; ლემო—„მაქსიმ გორკი და დეთის მაძიებლობა“; ზ-ლა—ლექ. „გემზე“; შვარცი—„ჰენ-  
რიხ იბსენი“; ბ. ბელა—ლექ. „ვაზაფხულის ძალა“; ვ. მალაქიაშვილი—დრამა „შავი გველი“; ილ. მგელაძე—ლექ.  
პროზათ „მოჭკრის“; ს. თავართქილაძე—მოთხ. „სკამს ქვეშ“ (ბელიკოვისა).

### ახლა კი მიხვდი.

#### I.

მახსოვს, მდელიოზე იჯექ მარტოკა,  
შენს გარეშემო ბუნება ნაზი  
ტურფათ ყვავოდა, იფურჩქნებოდა,  
ეგრიხებოდა ყელზე ვაზს ვაზი!  
გვერდით ნაკადი მოჩქრიალებდა,  
როგორც ყინული ცივი, ანკარა,  
შიგ, ვით სარკეში, იხედებოდი,  
ხელში გეჭირა ვარდი პატარა.  
და გიშრის თმაზე კოხტათ იბნევიდი,  
თან მომხიბლავათ ილიმებოდი  
და იქ ჩახატულ შენსავე სახეს  
შორით კოცნიდი, შორით შესტროფიდი!  
თავს დაგჩხავოდა შავი ყორანი,  
მაგრამ შენ იმას ყურს არ აპყრობდი!  
ხან დაფრინავდი ოცნების ფრთებით,  
ხან სიყვარულის ჰიმნსა გალობდი!

#### II.

გავიდა ხანი. იმავე ადგილს  
გიხილვო ისევ, ლანდათ ქცეული,  
მიმქრალ თვალეზე ცრემლი მდიოდა,  
მწარეთ კვნესოდი, როგორც ეული!  
ბუნება ისევ ისე ყვავოდა  
ათასნაირათ გადაფურჩქნული  
და ნაკადულიც მოჩუხჩუხებდა  
კიდე-ნაპირებ ტურფათ შემკული!  
შენ კი შორს იდექ, ველარ ბედავდი  
შიგ ჩაგეხედა, გეხილა სახე,  
რომ ერთიორათ არ ქცეულიყო:  
ბოღმა, ვარამი და სივავლახე!  
და კვლავ დაგჩხავლა შავმა ყორანმა,  
შეკრთი, გულს მოგხვდა მწყვედელი ისარი,  
ახლა კი მიხვდი რასაც ნიშნავდა  
მიხი ჩხავილი, ის საზიზლარი!

ვ. რუსაძე.





# ჩემი დღიური

(ნაწყვეტი)

(გუძღვნი მასწავლებელს, ამხანაგს, მეგობ.რს—ნოე ილიკო-ლოზის ძე უორდანიას)

სატუსალოში ყოფნის დროს მე ერთი ამხანაგი მყავდა, რომელიც დაბოლოს გაგიჟდა. ვისაც ტუსალობა გამოუცდია, იმან ალბათ იცის, თუ როგორ უყვარს ტუსაღს წერა. ის ჩემი ამხანაგიც ბევრს ცსწერდა იქ. და როცა ის სულიერათ მოკვდა, როცა შეიშალა შეიშალა ჭკუაზე, ყველა მისი ხელნაწერი წავიღე მე და როცა ვაგნთავისუფლდი, მოვახერხე გამომეტანა თან... ეხლა გავიგე, რომ ამხანაგი ილიკო იაშვილი ფიზიკურათაც მომკვდარა. მინდოდა დამეწერა მისი ნეკროლოგი—კარგი ბიჭი იყო, კარგი ამხანაგი, დიდი ერთგული საყვარელი საქმისა—სოციალიზმის მეთქი. მაგრამ ნეკროლოგის წერის მაგიერ ვარჩიე გამერჩია მისი ხელნაწერები—რა არის ისეთი რამ ვიპოვო იქ, რომელიც ნეკროლოგს ჯობდეს მეთქი. და აი ამის ხელნაწერებში ჩემი ყურადღება მიიქცია სქელმა რვეულმა, რომელსაც სათაურათ, მსხვილი ასოებით ეწერა: „ჩემი დღიური“. როგორც მკითხველი თვითონ დაინახავს, ეს დღიური უფრო ამხანაგისადმი გასაგზავნ წერილთა კრებულს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ნამდვილათ დღიურს. „ეს წერილი მიერთვას ჩემს ამხანაგს საკუთარ ხელში“, ასე იწყება თვითოეული თავი ამ რვეულისა. ეტყობა სულ უკანასკნელი დროის ნაწერია ეს. ბევრი ახირებული ეწერა შიგ, ბევრი გაუგებარი, ბევრი უზრო. მაგრამ საერთოდ მე დავრწმუნდი, რომ ღირდა მისი გამოქვეყნება. ხომ ვაგიგონიათ ჭკვიანი კაცის თქმული—თვითოეულ საფლავის ქვას ქვეშ კაცობრიობის ისტორიაა დამარხულიო. და რადგანაც ეს სიმართლეა, ამასთან რადგანაც კაცობრიობის ისტორიის ცოდნა აუცილებლათ სჭირია, ამიტომ მეც ვცადე ამ რვეულის ნაწილის გამოქვეყნებით ცოტათი მაინც ამწადა საფლავის ქვა ჩემი უდროოთ დაკარგული ამხანაგის, ილიკო იაშვილის სამარისა და თქვენთვის მომეცა საშვალეობა ჩაგეხედათ შიგ. ამ მიზნით მე გულმოდგინეთ გადავიკითხე რვეული, გადავწერე ის, ბევრი რამ გამოვტოვე და ეხლა ვაძლევ დასაბეჭდათ. დეე ეს იყოს ნეკროლოგი სულიერათ და ხორციელათ ტანჯულის, უდროოთ დაკარგული ჩემი ამხანაგის ილიკო იაშვილისა, რომელიც გაგიჟდა და ისე მოკვდა, რომ გონებაზე არ მოსულა...

გამომცემელი

## 1. ეს წერილი მიერთვას ჩემს ამხანაგს საკუთარ ხელში.


...დღეს გელოდი ისე, როგორც ყოველთვის გელოდები ხოლმე შენ და დღესაც, ისე როგორც ყოველთვის შენ არ მოსულხარ ჩემთან, არ გინახავარ, არც წერილი მოგიწერია. მე კი გწერ ამ წერილს ისე, როგორც წინეთ, როგორც ყოველთვის, თუმცა შენი პასუხი ჯერ მე არ მინახავს...

...მომწყინდა, მძიმე სევდა ჩემს გულს შემოეხვივა, ღრმა, მწარე სევდა. ეჰ, რა მომწყინდა, ნეტავი იცოდე რა მომწყინდა ჩემო ძვირფასო!

სანახევროთ ბნელ საკანში ვზივარ და წერას განვაგრძობ, გწერ ამ წერილს.

ეხლა ღამეა და წვიმს. წვიმის წვეთები სცემენ ჩემი ფანჯრის მინებს, მეძახიან, რალაცაზე მესაუბრებიან. მეორე მხრით სატუსალოც ხმაურობს, ერთობა. ჩვენი სატუსალო, არ ვიცი რათ, მაგრამ ჯერჯერობით რამდენიმეთ თავისუფალია, იმდენათ თავისუფალი, რომ როცა ზედამხედველი ტუსაღს მაგალითად დედას შეაგინებს, ტუსაღაც ასეთივე გინებით აძლევს პასუხს და ამისთვის ტუსაღს, როგორც სხვა სატუსალოებში, არ აგზავნიან კარცერში. აქ ხმაურობას დიდათ არ სდევნიან, არც სიმღერებს, არც ქალაღდის თამაშობას, არც ჭიდაობას. დღეს ტუსაღები ანახეს ნათესავეებს, ტუსაღებს მოუტანეს ნათესავეებმა საქმელები, სატუსალოს დიდი უმრავლესობა ამ საღამოს მადღარია და ამიტომ მზიარულია, ამიტომ უფრო ხმაურობს, ვიდრე ჩვეულებრივ. გწერ ამ წერილს, თან კი არ ვიცი, წვიმის სისინს დავუგლო ყური, სატუსალოს, თუ წერა განვაგრძო. სამივე ერთად მსურს, თუ სიმართლე გსურს იცოდე. აი, მაგალითად, საღდაც, ამოკიდეს „ხასან ბეგურა“, მღერიან მკვირცხლათ, მწყობრათ, ლამაზათ—კარგი მომღერალი ბიჭები ზიან აქ - გურულები. და მე მსურს დავუგლო მას ყური, ამ სიმღერას—მშვენიერი სიმღერაა ეს... ვაგიგონია შენ ის?.. მე ძალიან მიყვარს სიმღერა, მაგრამ სიმღერის ნიჭი მე არა მაქვს. მინდოდა დავთხოვოდი წერას, მაგრამ სიმღერა შესწყვიტეს. სამაგიეროთ აგერ, ჩემმა, ასე ვთქვათ, ცეცხლის მეზობელმა, ჩემ გვერდით მყოფმა ტუსაღმა წამოიწყო, მღერა. ის კი არ მღერის, ის ზმუის. პრიმიტიველია, სადაა ეს მუსიკა, ეს გარმონია ხმათა, მაგრამ თუ კი იმას ართობს, თუ კი მას გულს უთბობს, თუ კი გულზე სევდას ბანს, რას ვრჩი, იმღეროს, გული გადააყოლოს. ვუგდებ მე იმას ყურს და დახე, აკი მეც დამიმორჩილა რამდენიმეთ მან—ამ მოღუნებულმა, ამ უიმედო და სევდიანმა ხმამ გული ამიწყალა, ამიჩვილა. სატუსალო-





ში, ძმავ, ადამიანი გარდამეტებული გრძნობიერია — მე მყავდა აქ ერთი ამხანაგი—ინტელიგენტი, რომელიც რომანების კიხვას დაეთხოვა, იმიტომ, რომ ყველა, ვგრეთ წოდებულ, გრძნობიერ ალაგებზე ცრემლებს ვერ იმაგრებდა თვალში... ჩემი გრძნობაც გასათუთდა აქ...

„დედავ, რატომ გამათხოვე-ე, გამ-ათ-ხო-ვე-ე, ასე პატარა ქალია-ა... ასე პატარა ქალია-ა!..“

აი, ამ ლექსს ზმუის ჩემი მეზობელი. მე კი მიპყრობს ერთი სურათი, რომელიც ღრმა შინაარს აძლევს ამ ლექსს, ამ სიმღერას. მე მგონია, რომ ტირის დედაკაცი. ახალგაზდაა ის, მაგრამ ფერ დაკარგული, თვალეზ ჩამქრალი, გამხთარი და მას ხელში უჭირავს ბავშვი, მისი შვილი. თვრამეტი წლის არის ეს ქალი. და ის შურით უცქერის მეორეს. მის კბილა ქალიშვილს, ჯერ კიდევ გაუთხოვარს. ის სიცოცხლით არის სავსე, თვალეზი უბრწყინავს მას, პარი უდიდის—სიცოცხლისა და აღერსის სურვილით სავსეა ეს ლოყა წითელი, შავ-თვალა გოგო, „ჩიტი უფრინავს გუნებაში“ მას. ისიც, ის ბავშვიანი ქალიც სწორეთ ასეთი იქნებოდა ეხლა, ასეთი ჯანსაღი, ასე ლოყა წითელი, ასე ცელქი და ხალისიანი. ის ხომ თვრამეტი წლის არის, მხოლოდ თვრამეტის და უკვე ქმარ-შვილიანია კი. რათ, რათ გაათხოვეს ის აგრე აღრე, ასეთი ბავში? რათ, რათ მოახუცეს ასე აღრე, რათ გასტეხეს წელში? რათ არ დაანებებს მასაც გამოეცადა ქალიშვილობა? რათ არ დაანებებს გამოეცადა თავისუფლება? არც ერთხელ, არც ერთხელ ახალგაზდა ვაჟები არ დაჯობრებიან იმისთვის ერთმანეთს? რათ არ დაანებებს მას გამოეცადა სიყვარული. ვინმე შეყვარებოდა? რას, რას ერჩოდენ, რა დააშავა მან, იმ საწყალმა?... და აი ეხლა ის იჩივა ბედს, ის საყვედურობს...

დედა რატომ გამათხოვე, აგრე პატარა ქალია!..

რატომ გაათხოვეთ ის, რას ერჩოდით?

მე კიდევ მსურს ვიფიქრო რამ ამის შესახებ, მაგრამ ამ დროს მოისმის გაცხარებული ძაღლის ყეფა, დიდი ქოფაკი ძაღლის ყეფა და მასთან ერთად წაქეზებისა და წასისინების ხმა:

— ეცი, ეცი მურა! არ გაუშვა ეცი!

მურა უფრო ანჩხლდება, უფრო ბრაზობს და კარიდორიდან კარიდორში გადადის ძაღლის ყეფის ხმა, ძახილი—ეცი, ეცი მურა! არ გაუშვა, ეცი!

გამოუცთელ კაცს ეგონებოდა, მართლაც ძაღლი ყეფს, ვილაცას ალბათ ყავს აქ ძაღლიო, და ეს

ძაღლი ეგონება, იბრძვის. ნაშდვილათ კი ასე ტულათ ბაძავს ძაღლს ერთი ტუსალი სპარსელი, ხელობით ჯიბგირი. ალბათ ზედამხედველი მიადგა ეხლა იმის კამერის სათვალურს და იმას მიაშურა მან ყეფით, იმას შეებრძოლა. იმას უსისიანებენ ტუსალები, თან კი იცინიან, ხარხარებენ... ამ სპარსელს კიდევ ერთი დანიშნულება აქვს ამ სატუსალოში. როცა ახალს ვისმეს მოიყვანებენ, ის უნდა შეაშინოს მან. დგას ახალ მოსული ტუსალი და ამბობს მისი დატუსალების ამბავს, ამ დროს კი უცებ მოისმის მის უკან გაბოროტებული ძაღლის ღრენა და ერთ წუთში ძაღლი ფეხებში ეცემა მას. ფერდაკარგული, შეშინებული ტუსალი ახტება ზევით, ინსტიქტიურათ გაიქნევს წიხლს და ხშირათ სახეშიც მოახვედრებს... მერე კი როცა გაიგებს რაშია საქმე, გაეცინება... აი ეხლაც ყეფს ის, ზედამხედველს ებრძვის, მე კა მიკვირს, რომ მერთლმორწმუნე მაჰმადიანი, თავმომწონე შვილი ყოველად ძლიერი ალლაჰისა, რომელსაც ასე მალლა მოაქვს თავი ცხოველებთან შედარებით, ეს მაჰმადიანი ძაღლურა ყეფს, ძაღლს ეგვანება. ვერა ვერ მოუწონებს მას ალლაჰი ასეთ თავის დამცირებას, საიქაოს სასტიკათ დასჯის მას, ძაღლივით აყეფებს. ასე მითხრა ერთმა მაჰმადიანმა და სხვებიც დაეთანხმენ მას, და მათ ხომ უფრო იციან თავიანთ გაჩენის ზნე და ხასიათი.

— ეცი მურა, ეცი შე სამგლევ! ეცი, არ გაუშვა...

და ცხარი, გულმოსული ყეფა ავსებს ისევ კარიდორს—ალბათ ზედამხედველი თვითონ აღიზიანებს ეხლა მას, თითს უჩვენებს და აბრაზებს.

მართალი ხომ არ არის ნეტავი სულის გადასახლების შესახებ რომ ამბობენ ზოგიერთები? შეიძლება მართლაც ზის ამ სპარსელში სული რომელიმე განსვენებული ძაღლისა და ის ყეფს, ის იბრძვის...

წვიმის წვეთების მინებზე ატეხილმა ხმაურობამ მქლია და ისევ გამახსენა, რომ მე მომწყინდა, რომ ღრმა სევდა ჩემ გულს შემოეხვია და რომ მე წერილს ვწერ. ვწერ, თან კი უგდებ წვიმის სისინს ყურსა და ვფიქრობ:

— რას ვიზამ ნეტავი ეხლა, რომ უცებ გარეთ, ქუჩაში ამოვყო თავი?... ჰო, რას ვიზამ?

— რას ვიზამ და გავჩერდები შუაგულ ქუჩაში, გადავიძრობ ქუდს და შეუშვერ წვიმის წვეთებს კისერს, მაწვიმოს, დაჰსველოს, ჩამიძვრეს საყელოში, გველივით გასრილდეს ტანზე და ნერვებს უკბინოს, მაგრძნობინოს სიცივე. გავჩერდები, თან კი რომელიმე ფანჯრიდან გამოჭვრეტოლ სანთლის შუქს შევაჩერდები... იქ, იქ, იმ ოთახში ზიან კეთილი ადამიანები და იმ კეთილ ადამიანებს ვუყვარვარ მე სალი ილიკო იაშვილი. ვუყვარვარ მე იმათ



ეროვნული

ლოდებიან. საკმაოა გადავდგა რამდენიმე ნაბიჯი, დავუკაუნო იმით, რომ საჩქაროთ კარებს გამიღებენ, შემოივებენ შიგ, გადამეხვევიან, გამაძრობენ პალტოს, მომცემენ სუფთა, მშრალ საცულებს, შემოდღებებიან ოთახში და ბუხრის წინ დამაუყენენ— დაჯექი, დაისვენე ჩვენო ძვირფასო, გათბი. რათ გვალოდინე ამდენი ძვირფასო—დღე მუდამ შენ გელოდით... უხარიათ, უხარიათ ჩემი მისვლა, ისინი კეთილი აღამიანებია და მე ვუყვარვარ მათ, მე ვუყვარვარ. მაშ!.. რა გეგონათ,— მე არავის ვუყვარდი გეგონათ განა? მე არავინ მელოდებოდა გეგონათ? თქვენ რომ დამცინოდით, თქვენ რომ თელავდით ჩემ თავმოყვარეობას, ჩემ სიამაყეს, ჩემ ღირსებას, თქვენ გეგონათ მე მოძულეებული ვიყავი ქვეყანაზედ? ეხლა, ეხლა მე ყველაფერს ვეტყვი ამ კეთილ აღამიანებს, ჩემს მასპინძლებს, რომელთაც მე ვუყვარვარ, მე ვეტყვი თუ რას სჩადით თქვენ ამ კედელთ შუა. მე ვეტყვი მათ—სინიდისი ზღაპარი გონიათ მათ, ვის ზელშიც ჩვენ, ტუსალები ვიყავით. სიყვარული, აღამიანური გრძნობა, საზოგადოთ ის ქვემარტება, რომ არსებობს ქვეყანაზე აღამიანი, მათ ზღაპარი გონიათ. მათ იციან რომ არსებობენ ტუსალები და ტუსალთა მკველნი მხოლოთ. რომ ამ უკანასკნელთ ყველაფერი შეუძლიათ, რაც მოესურვებათ... მე ვეტყვი მათ—როცა თქვენ ბავშვებს ეთამაშებით, ისინი მაშინ უმოწყალოთ სცემენ ტუსალს. როცა თქვენ გძინავთ და ტკბილ საზმურკს ხედავთ, მაშინ ისინი დადიან კამერის კარიდან, მეორე კამერის კარამდე და ნერვებს უშლიან ტუსალებს, არ აძინებენ, არ ასვენებენ. როცა თქვენ ცაზედ ვარსკვლავებს უტკებრით, მაშინ ისინი თოფით დგანან ფანჯრებთან, რომ ჩვენ არ დავინახოთ ზეცა... მე ყველაფერს ვეტყვი იმ აღამიანებს, რომელთაც მე ვუყვარვარ და თქვენ წინააღმდეგ წამოვიყვან მათ, თქვენზედ ავამხედრებო იმით... აი, რას ვიხამ მე, ტუსალი ილიკო იაშვილი! მაშ რა გეგონათ, ვერსად გიჩივლებდით გეგონათ განა? ხომ ხედავთ, მე ვუყვარვარ იმით და ისინი მეუბნებიან მე:—დაჯექი, დაისვენე ჩვენო ძვირფასო, გათბი. რათ გვალოდინე ამდენი—დღე მუდამ გელოდით შენ! დაჯექი, გათბი...

მე მითბება გული, მითბება გული!.. ღმერთო ჩემო რა მიხარია, რა ბედნიერი ვარ, რა საყვარელი! გუზგუზა ცეცხლი სასიხარულო სალიუტს მაძლევს, ტკაცუნით მეგებება, გამაკოცხლებელ სიტბოს მახვევს ირგვლივ. ღმერთო ჩემო, რა მიხარია, რა ბედნიერი ვარ. და რა მიყვარს მე ჩემი კეთილი მასპინძლები, რა მიყვარს მე ყველა, ყველა... მე მინდა ეხლა შევდგე მაღალ, მაღალ რაშეზე და დავიძახო, დავიყვირო, მთელ ქვეყანას გავაგონო, რომ ბედნი

ერი ვარ, რომ სიყვარულით სავსეა ჩემი გული, რომ სიყვარულით სავსეა ჩემი არსება, რომ მიყვარს მე ყველა, სულ ყველა... დაანთეთ, ამხანაგებო, ცეცხლი ბუხრებში, დადგით სინათლე ფანჯრებთან და თუ ვერ ანათებს მზე, იმიტომ რომ ღამეა, თუ წვიმს და ბნელი ბურუსი ახვევია მიდამოს, დადგით, ამხანაგებო, სინათლე ფანჯრებთან და გამოაშუქეთ ქუჩაში, გამოაშუქეთ ქუჩაში... იქ კაცი დგას, იქ დგას, აღამიანი, იმას ქუდი მოხთილი აქვს, იმას აწვიმს, სკავა იმას და უჭირს ბნელაში სიარული მას. ის იტკირება გარშემო და ეძებს სინათლეს, ეძებს ძალას, რომელიც მას მიეხმარება... იმას უყვარხართ თქვენ, ის თქვენ დაგეძებს, თქვენთან უნდა მოსვლა, თქვენთან უნდა სიკვდილი—დაანთეთ ამხანაგებო ცეცხლი ბუხრებში, დადგით სინათლე ფანჯრებთან და გაანათეთ ქუჩა!..

ეჰ, ჩემო ძვირფასო, იცი თუ არა შენ, იცი თუ არა რა ღამაში, რა მშვენიერი, რა საყვარელი რამ არის აღამიანი შორიდან! იცი თუ არა ეს შენ!

მომწყინდა. მძივე, მწვავე და ღრმა სევდა მაწვეს გულზე, ვზივარ ამ სანახევროთ ბნელსა და მოხუშულ საკანში და განვაგრძობ წერას, გწერ ამ წერილს. ღებულობ თუ არა ამხანაგო ჩემ წერილებს, კითხულობ თუ არა იმათ?


ჰო, კითხულობ თუ არა? არ ვიცი სად ცხოვრობ, არ ვიცი რა მოგივიდა მას შემდეგ, რაც დაგშორდა. არ ვიცი რას ფიქრობ. არაფერი ვიცი შენი—მაინც გწერ. აი დავსწერე კიდევ და დავაწერე სათაურათ—„ეს წერილი მიერთვას ჩემს ამხანაგს საკუთარ ხელში“. გაგიგონია შენ ერთი ხალხური ლექსი, ერთი ყაჩაღის შესახებ?.. ის იწყება ასე: „საიქიოდან წერილს გწერ, თუ ამითავდა ქალაქი... რა უბედობა მეწვია, მტერებო რავა გახარდი!“...

ხომ პოეტურათ იწყება? ხომ? ...მეტე არაფერი!..

**2. ეს წერილი მიერთვას ჩემს ამხანაგს საკუთარ ხელში.**

ერთი კრებიდან დაბრუნებულს ჩემს ბინაზე დამხედენ ლიზა და ნატაშა—ჩემი კარგი მეგობრებო. გამაკვირვა მე ამ გარემოებამ, იმიტომ რომ ნატაშა ერთი წელია, რაც ოთხი წლით კატორღაში გაემგზავრა, ხოლო ლიზა კი მესხეთე თვეა რაც კატორღაში წასავალ კაბას, ნაცრის ფერ კაბას იკერავს. ეს ასეა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ორივე, ნატაშაცა და ლიზაც ჩემ ოთახში სხედან. თვალი ხომ არ მატყუებს? არა, არ მატყუებს, ნამდვილათ ისინი არიან. ნატაშა, ანუ როგორც მე ვეძახი მას—შავ-თვალა,





ჩვეულებრივად, უბოდინოთ მიწოდოდა ჩემს ლოგინზე და არც კი შემომხედდა მე, როცა კარები შევადე. ლიზა კი პალატოს ჯიბეში ხელებ ჩაწყობილი წინ და უკან დადის... ეს ოხრები, ამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, იმედიც კი არ მქონია ამ ჩემი კარგი ამხანაგების ნახვის, ეხლა ასე მოულოდნელად შეხვდები და თითქოს არაფერი, როდი ინძრევანი! მაგრამ თუ ისინი ასეთი გულქვა არიან, მე არ ვარ ასეთი, მე მინდა ერთი ალერსიანი სიტყვა მაინც უთხრა იმათ. და რადგანაც ნატაშას ეჯავრება, როცა იმას შაკუვალას ვეძახი, ამასთან რადგანაც მე აღამიანი თუ მიყვარს, იმას უმეტეს შეძახვებაში ვაჯავრებ, ამიტომ პირდაპირ ვეძახი, კარებიდან ვეძახი ნატაშას:

—აა, ჩემო შავთვალა... здравствуй черноточка... როგორ ხარ?... როგორ ცხოვრობ?

ის იბღვირება. მუდამ ხუმრობის ხასიათზე როგორ უნდა იყოს კაცი—უკვირს ნატაშას...

— არა, სული ნუ წამიწყდება მითხარი, ხომ გიხარია შავთვალას რომ გეძახი... თუ გცხვენია, დახუჭე თვალები და ისე მითხარი—ხომ გიხარია!

ლიზა ისე დადის და თითქოს არ ესმის—დინჯი, სერიოზული ქალია ჩვენი ლიზა.

— როდის დამპატიებ ქარწილზე შავ თვალა?... მივდივარ ახლო და მინდა ხელი ჩამოვართვა, მაგრამ არ მაძლევს ხელს ნატაშა—არ სცალია მას სახუმაროთ, დაღლილ-დაქანცულია მთელი დღე კონფერენციის რეზოლიუციებს შექდავდა რემინგტონზე, შემდეგ აქ იყო, იქ იყო, ბინა ჯაშუშებმა აიღეს თვალზე და ოთახში ვეღარ მიდის. ჩემ ოთახში შემოირბინა, რომ ცოტა მიიძინოს და შემდეგ ვინმესთან წავიდეს, ბინა მონახოს. მე ისეთი ვარ, რომ კი ვერ მივხვდები რომ სამართლით მე უნდა წავიდე სადმე ღამის გასათევად და ნატაშა აქ, ჩემს ოთახში დავტოვო... წადი, წადი, მეძინება! ცხადია, ნატაშას დღეს ვერ გამოვტყოვ ალერსიან სიტყვას! ლიზა კი, ლიზას აღარ ვამჩნევ ეხლა, იაროს ქალბატონმა წინ და უკან, მეც თავ მოყვარეობა მაქვს... აბა ერთი ნახოს თუ არ შემიძლია მეც გავჩუმდე და არაფერი უთხრა მას.

ნატაშას უკვე დაეძინა, ის ხვრანავს. ვერ ვითმენ და მივდივარ ნატაშასთან, ვკიდებ ხელში ხელს.

— შავთვალა! ეს როგორ ხვრინავ შენ, გაიღვიძე შავ თვალა!

ლიზა აცხადებს სასტიკ პროტესტს—რა მხეცობაა ეს, დაღლილ-დაქანცული აღამიანის გაღვიძება, это возмутительно.

— კი, მაგრამ ის ხვრინავს ლიზა, ის ხვრინავს...

მე კი არ შემიძლია ყურის გდება, მე ქირივით მეჯავრება, როცა აღამიანი ხვრინავს.

— ერთი ამას შეხედეთ, ამ ნახ ქმნილებას! მაყარის ქოქოლას ლიზა,—აბა ერთი შეხედეთ ამას! რა თქვი, გაიმეორე კიდევ!..

გათავდა, ერთი მომაკვდინებელი ცოდვა კიდევ აღმოჩნდა ჩემში—მე არ მომწონს, როცა, აღამიანი ხვრინავს. და ეს კი იმის ბრალია, რომ მე ვარ მეუმცირესე, ოპორტიუნისტი, პლენხანოვისტი, კადეტი და ვინ იცის კადევ რა. მე რომ მეუმრავლესე ვიყო მაშინ... ოჰ, მაშინ არც ერთი ნაკლი არ იქნება ჩემში და არც აღამიანის ხვრინვის ხმა ამიშლის ნერვებს. ლიზა და მე, ძალიან მახლობელი მეგობრები ვართ ერთმანეთის და რამდენათაც ის კარგი მეგობარია, იმდენათ სწყენია მას, რომ ქეშმარიტების გზას აცდენილი ვარ, მეუმრავლესეთა ფრაქციას არ ვეკუთვნი. კარგი ქალია ლიზა, თავდადებული ქალია ის, დაულალავი მუშაკია ის და ძლიერ უყვარს მუშებს... ფანატიკური მომხრეა მეუმრავლესეების და ყოველთვის, როცა მოცლილია, თუ კი შემხვდება იწყებს ჩვეულებრივ სიმღერას, „მრეცხს“. სამაგიეროა—არც მე ვრჩები ვალში, არც მე ვაკლებ სიტყვებს—იაკობინელი, ბლანკისტია, უტოპისტია. როდის ნიშნავს ლიზა თქვენი კაპელმეისტერი ლენინი ერთდროულ შეიარაღებულ აჯანყებას? გადააცმევინ ისინი მუშებს ჯარისკაცების ტანთსაცმელს და როცა შეტაკება მოხდება ამ გადაცმულ მუშებს გამოიყვანებენ ბარიკადების წინააღმდეგ. ბარიკადებიდან ლიზა სიტყვით მიმართავს მათ და დააჯერებს ხალხის მხარეზე გადმოიარონ ჯარისკაცებმა. ისინიც დააგდებენ სამფეროვან დროშას და წითელ დროშის ქვეშ მოიყრიან თავს... აი, ასეთია მეუმრავლესეების ტაქტიკა—როდის ნიშნავთ ლიზა შეიარაღებულ, ერთდროულ აჯანყებას!..

კაპასობს ლიზა—სიცრუეა, სიცრუეა ეს, სიცრუეა... სამაგიეროთ წაიკითხე რას სწერს პლენხანოვი, ბებერი პლენხანოვი, კადეტებს შეუერთდითო—აი რას სწერს იგი. რას სწერს მარტო—რევოლიუცია პროცესიაო. არც კი გრცხვენიათ—მარტინოვი, ჩერევანინი, აი თქვენი ტაქტიკოსები, აი თქვენი ბელადები... და აღარ თავდება, აღარ თავდება! პროლეტარიატის მტრები ვართ ჩვენ, ჩვენ რევოლიუციას დათვურ სამსახურს ვუწევთ, ჩვენ... ნუ ათქმევინებთ ლიზას ჩვენ სიკეთეს—მოიცათ, მალე მოვსპობთ თქვენს პარტიაში, დაიცათ...

მე დაღლილი ვარ და მშვენიერ ხასიათზე კი ვდგები.

—იცი რას გეტყვი ლიზიკო?  
—რა უნდა მითხრა?



— არაფერი არ არის იმაზე უფრო სასაცილო, როგორც ის, როცა ქალი სერიოზულ ლაპარაკს დაიწყებს...

შენ მაგას არც კი ხუმრობ, მეუმცირესებს ახლა მაგი გაკლიათ მხოლოდ, თქვით მაგი და...

— როცა ქალი სერიოზულათ ლაპარაკობს ეს იმის ნიშანია, რომ იმას მოსწონს ისეთი კაცი, რომელსაც ჭკვიან კაცს ეძახიან... ქალის სერიოზული ლაპარაკი, ეს ერთი სოისი ფერ-უმარილია, შლიაპაა ახალი მოდის და მეტი არაფერი. მართალს ვაზბობ თუ არა?

იცოცხლე! სხვა კიდევ რა იცი?

— მე ისიც ვიცი, შენ რათ ხარ მეუმრავლესე!

— ბძანე, მითხარი რათ ვარ!

— რათ ხარ და გათხოვა გინდა ბიძია, აქ კი ყველა მეუმცირესე თოლიანია, მეუმრავლესეები კი საცოლო. აი სად არის ძაღლის თავი ჩამარხული ჩემო ძმაო, ჩემო ლიზა.

— ეხ, შენ... ენა მოტეხილო! და იცინის ღიზა თავისი წმინდა წკრიალა სიცილით—მშვენიერთ იცინის ღიზა, მე მიყვარს მისი სიცილი.

მარა, აი წამოდი ღიზა მეორე ქალაქში, ისეთ მეუმცირესებს გაგაცნობ, რომ სულ ვარსკვლავს ეთამაშებოდნენ... ჩემსავით „შტრინგ“ ბიჭებს.

— კარგი მოგივიდეს, კარგი ისინი ყოფილან... შენ ხომ დამტვრეულ ურემს გავხარ, შე უბედურო! ხომ იცი დამტვრეული ურემი?

ეჰ, ძლიერია იდეა, რა ძვირფასია ის! ვინ იფიქრებს, რომ მე და ღიზას ასეთი ხუმრობა შეგვიძლია ერთმანეთში, როცა რომელიმე კრებაზე ერთმანეთს შევხვდებით და შევეტაკებით.

...ტანზე, ტანზე გაიხადეთ იაშვილო! მინდორში ხომ არ ხართ, გაიხადეთ ტანზე! მიკაკუნებს კარებზე და მეძახის ზედამხედველი.

ა—ახ! სიზმარი ყოფილა ყოველივე ეს! სად არის შავთვალა, სად არის ღიზა, სად არის ის სიხარული, რომელსაც გული გრძნობდა.. გაქრა.

Кто то сказку досказал

И оставил мертвый зал...

...დღეს მე შევხვდი ციხის უფროსს და ასე უთხარი მას:

რათ არ უშვებთ ჩემთან მნახველს?

— გზაში არიან მნახველები როცა მოვლენ, შემოგეუშვებ.

თქვენ ხომ იცით, რომ წელიწად-ნახევარია არავინ მოსულა ჩემთან?

— ვიცი.

— მაშ რათ არ უშვებთ?

უფროსმა გაკვირვებით ამხედ-დამხედდა მან მე მოთმინებიდან გამომიყვანა:

— რას მიცქერო! ყველა ქურდი და წუწკი ნახულობს ვინაც სურს იმას, მე განა იმიტომ არ შემიძლია ვინახულო კაცი, რომ არც ქურდი ვარ და არც წუწკი? რათ არ უშვებთ ჩემთან მნახველებს?

— იაშვილო, თქვენ გეუბნებიან, რომ არავინ მოდის.

სტყუით!

ციხის უფროსი გაფითრდა. მიცქირა ერთხანს და მერე ასე თქვა:

— თქვენ ნერვები გტკივით იაშვილო და ამიტომ არაფერს გეტყვით ახლა, თქვენ ნერვებს დამალდეთ ის, რომ კარცერში არ დაგაყენთ ამისთვის.

— კიდევ ვიმეორებ, რომ სტყუით. მე რაც უნდა აშლილილი მქონდეს ნერვები, თქვენ მაინც ცრუ იქნებით...

მომკიდეს ხელი და წაჰომიყვანეს უკან.

მართალი უთხარი თუ არა უფროსს ამხანაგო? სტყუის თუ არა ის, როცა ამბობს—არავინ მოდისო? რა თქმა უნდა სტყუის.

ოთახში რომ შევედი მე გამეცინა.

სპირიტუალ მცირიშვილი.

(შედეგი იქნება)



სტარიაონები.

დათბა ჰაერში,  
აყვავდა ია,  
ხესაც ფოთოლი  
გამოუღია...  
აი, ტურფა მზეს  
რა შეუძლია!..

\* \*

იქ შაში გალობს,  
აქით—შოშია...  
აგერ ფუტკარსაც  
ფრთა გაუშლია...  
აი, გაზაფხულს  
რა შეუძლია!

\* \*





ფრთა-აწეული  
 მიმორბის სიო,  
 თითქოს დამძახის:  
 „ნუ-ღა ჰკენესიო!  
 მწარე დასცალე,  
 ან ტკბილი სვიო!..“

\* \* \*

მეც ტკბილს დავეძებ  
 და არა—მწარეს,  
 მე მზეს შევნატრი,  
 ვარსკვლავებს... მთვარეს...  
 მაგრამ ღრუბლებმა  
 არ გამახარეს!

\* \* \*

გამძლავრდი, სიო,  
 გაღიქვეც ქარად!  
 ღრუბელთ მიუხტი  
 გლოვისა ზარად,  
 დაგლიჯ-დაფხრიწე  
 ჩემ გასახარად...  
 \* \* \*

რომ აქ ჩემთვისაც  
 გაზაფხულობდეს,  
 ცხოვრების მდელი  
 ზურმუხტ-გულობდეს,  
 ზედ სიყვარული  
 ნაკადულობდეს...  
 \* \* \*

დათბა ჰაერში,  
 აყვავდა ია,  
 ხესაც ფოთოლი  
 გამოუღია...  
 გულო! შენ კი ეს  
 არ შეგიტყვია.

\* \* \*

„ლოცულობს შაშვი“,  
 გალობს შოშია  
 და გულს კი... ესეც  
 არ შეუტყვია:  
 მასში სევდის მთა  
 წევს, როგორც ტყვია!..

ნ. ზომბლოთელი.

## მაქსიმ გორკი და „ღვთის მადიებლობა“

„ღვთის მადიებლობის“ ეპიდემია და გორკის „აღსარება“.

### I.

როდესაც საბოლოოთ გამოიჩვენა 1905 წლის მოძრაობის დამარცხება, იმედ-გაცრეუული ინტელიგენცია თანდათან ჩამოშორდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საკითხებს და მთელი თავისი აზრებით, მთელი თავისი სულიერ ძალებით დაექანა ზირადი საკითხების მორევისაკენ. თუ ხალხის მოძრაობამ ინტელიგენცია თავით ფეხებაშდის პოლიტიკაში ჩაბა და ჩრდილში მიმალა ის საკითხები, რომლებიც ზირად სიამოვნებს, ზირად ბედნიერებს ესებან, — რეაქციამ მას ზურგი აბრუნებინა საზოგადოებრივ ცხოვრებისკენ, საზოგადოებრივ საკითხებისკენ და წინ დაუყენა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით საკითხები კერძო ზირაფების, ინდივიდუუმის სულიერ აზრების შესახებ. თუ 1905 წელში გაძლიერებული საზოგადოებრივი მაჟისტრუმ ეველას ხდიდა საერთო ცხოვრების მოზირეთ, ეველას ერთობის ინსტინქტებს უღვიძებდა, — რევოლუციის ჩაქრობამ ინტელიგენტი ჩამაშორა საზოგადოებრივ მთელს, გასწევათ ის ძარღვი, რომელიც მას, როგორც ნაწილს, ამ მთელთან აერთებდა; ინტელიგენტი მარტოც დარჩა, როგორც ცალკე სკანში დამწევეული

პტიმარი, და, როგორც ესევე პტიმარი, იძულებული გახდა მთელი თავისი გონებრივი ძალა მოანდომოს თავის ფიქრების და გრძნობების ანალიზს, თავის ცხოვრების განვლილ გზის კრიტიკას, თავის რწმენათა გადაშინჯვას, სინიდაისის ხმის უერის გდებას.  
 ამ ზირად საკითხების მორევაში ჩავარდნამ მრავალი სხვა და სხვა სახე მიიღო, მრავალი სხვა და სხვა საყოფი მოიტანა.  
 ზოგიერთნი, საერთო ბედნიერებაზე იმედ-გაცრეუბულნი, ზირად ბედნიერების აშენებას შეუდგენ და ეს ზირადი ბედნიერება დაინახეს მდამო ინსტინქტების დაკმაყოფილებაში, ზირუტეველ ვნებათა ღელვის ჟინის მოკვლაში; ამ კატეგორიის ჩუულებრივმა მომავდავეებმა არც აციათ, არც აცხელათ, დაარსეს საიდუმლო წრეები („დასტები წამით“, „ოგარკები“ და სხვა), ჩაეღვენ გარეგნილებაში, ღოთობაში, სქესებრივ ინსტინქტის ვარჯიშობაში; ამავე კატეგორიის ღიტერატორებმა შექმნეს „სანიანი“, „ქადაღდის სახლი“ (კუზმინის) და სხვა ამ ჟურის ნაწარმოებნი.



მეორე ნაწილს, უფრო ღრმა ბუნების ინტელიგენტებს, თავის გულის ხანკლვამ დაანახვას საკუთარ ცოდნის, განათლების სიტყვაზე და მეცნიერებისაკენ აბრუნებისა ზირო.

ზოგს კი საკუთარ და სხვების შეცდომების გათვალისწინებამ ცოდვითა მონანიების უინი აღუძრა, დიქრთისკენ, სარწმუნოებისკენ უჩვენა სინდისის ქეჩხნის დასამშვიდებელი გზა, და ამნაირათ გაჩნდა დიდი მიმართულება, რომელსაც ეწოდება „ღვთის-მაშენებლობა“, „ღვთის-მადიებლობა“. ეს მიმართულება ისე ძლიერი აღმოჩნდა, რომ მის მოხარკეთ გადაქცენ თითქმის ყველა ფილოსოფიურ თვალსაზრისი, ყველა ზოლიტიკურ და სოციალდობრივი რწმენათა წარმომადგენლები, ყველა ხანაში ჰეგელ მან თავისი მიმდევრები და მოცდიქელები. ებისკოპოს ანტონი ვოლინელიდან და სტრუგე-ბუღაკაოვ-ბერდაიევიდან დაწყებული ლუნახარსკი-გორკით გათავებული, მთელი რუსეთის ინტელიგენცია დღეს ღვთის ძებნით არის გატაცებული; სარწმუნოებრივი საკითხი გადაქცა სჭირ-ბოროტო საკითხათ, მას არჩევენ როგორც ფილოსოფიურ ტრაქტატებში, ისე ხელფენურ ნაწარმოებებში, როგორც ზრახაიკულ, ისე ზოეტურ ნაწერებში. თითქმის ვერც ერთმა დიდმა ბელეტრისტმა ვერ აუხვია მას გზა.

სარწმუნოებრივს საკითხს უძღვნა თავისი ერთი ნაწარმოები გორკიამც. სახეში გვაქვს „ზნანიეს“ მე-23 წიგნში დაბეჭდილი დიდი მოთხრობა — „აღსარება“ („Исповѣдь“).

მარტო გორკის სახელიც კმარა იმისთვის, რომ ყველა მის კალმით დაწერილს ნაწარმოებს მკითხველის უურადლება მივაქციოთ. მაგრამ ის მოთხრობა, რომლის შესახებაც ჩვენ გვინდა მკითხველს გავუზიაროთ ჩვენი აზრი, განსაკუთრებით არის საინტერესო... ჩვენი აზრით, მას შემდეგ, რაც გორკამ თავი მიანება „ბოსიაკების“ ცხოვრებას, მას შემდეგ, რაც მან სხვა სიუჟეტებს მიჰყო ხელი, „თომა გორდევის“ შემდეგ მის კალამს არ შეუქნია ისეთი შესანიშნავი რამ, როგორცაა „აღსარება“. როგორც აზრების სიღრმით, ისე ტიპების ხელფენურათ დასურათებით, ისე ენის და ფერადების სიმდიდრით და სიმშვენიერით „აღსარება“, დაწმუნებული ვართ, სხვატიო ალგას დაიკავებს არა მარტო გორკის ნაწერებში, არამედ სოციალდოთ რუსულ ლიტერატურაში.

მოთხრობის შინაარსის გადმოცემას არ შეუძლებით, რადგან მისი მოკლეთ გადმოცემა შეუძლებელია: უმთავრესი ამ მოთხრობაში არის ის ლირიკული ზათოსი, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მოთხრობა და რომელიც მას აძლევს ლირიკულ ზოემის ელფერს; მოთხრობა წარმომადგენს მთელს ზღვას ღრმა ფიქრების და სხეტაკ.

გრძნობებისას, რომლებსაც ავტორი მკითხველს ამცნობს თავის გმირების ზირით და რომლებიც ყოველს სეროზულ მკითხველს მრავალჯერ ღრმათ ჩაფიქრებენ, მრავალ ფაქიზ გრძნობებს გაუღვიძებენ და ტემპირიტ ესთეტიურ სიტკბობას აგრძნობინებენ. ისე რომ, ვისაც სურს მოთხრობის დაფასება, თითონ უნდა წაიკითხოს იგი. ჩვენ აქ მოვიუვანთ მხოლოდ მოთხრობის სქემას, იმ ქარგას, რომელზედაც მოქარგულია მოთხრობის საუცნოვო ყვავილები.

მოთხრობის გმირათ გამოვივანილია ბუში, უკანონო შვილი; იგი აღიზარდა მედავითნე ლარინის ხელში. ბუნების-მიერ მადალ გონებით და ღრმა გრძნობით შემკულმა ბავშვმა ზატარობიდანვე ღვთის სიფარული და გულწრფელი რწმენა შეითვისა; მაგრამ, როცა წამოიზარდა და ცნების საშეფოდან ნამდვილ ცხოვრებას შეეტკავა, უწინდელ მისს გულუბრფელიო რწმენას უოველ ნაბიჯის გაკადვებზე ქვეშიდან ნიადგი ეცლება; უმწიკვლო ზნეობის უმწიკვლი ერთ ხანს ვარდება საზიზღარ უხნეობის ჯურღმულში, მაგრამ ადამიანის სახეს არ კარგავს, მალე ამ ჯურღმულს თავს ახწევს, მიდის „ღვთის საძებნელათ“, დაიარება რუსეთის ერთ კუთხიდან მეორეში, სოფლიდან ქალაქში, მონასტრიდან მონასტერში; ამ ხეტიალში კარგავს წინანდელ სარწმუნოების ნარჩენებსაც, მაგრამ ბოლოს მიავნებს ახალ სარწმუნოებას, ახალ „ღმერთს“.

როგორც მოთხრობის ამ ჩონჩხიდანაც ჩანს, მოთხრობა ორ ნაწილიდან შესდგება: ერთში ნაამბობია გმირის მიერ ძველ სარწმუნოების დაკარგვა, „ღვთის დანგრევა“ და მისი ძიება; მეორეში დახატულია ღვთის ზოვნა, „ღვთის მაშენებლობა“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორი ნაწილი ერთნაირ ღირსების არ არის: ის ქება, რომელიც ზემოთ შევასხით გორკის მოთხრობას, უმთავრესათ ზირველ ნაწილს შეეხება — ღვთის დაკარგვის და მის ძიების ზრაცვის; მეორე ნაწილი, ღვთის ზოვნა, უფრო სუსტია, მას ნაძლადეფობის ბეჭედი აზის, ტუნდენტური და დიდაქტიურია და, ამის გამო, მკითხველს გაჭიანურებული ეჩვენება, ამ სისუსტის მიზეზს ქვემოთ გამოვარბმპოთ.

ლო.





# გ ე მ ზ ე

(ვუძღვნი ვ-ნეს)

კეკლუცი მთვარე, ნაზი ღიმ ლით, სხივებს მიბნედილს აფენს დიად ზღვას. ვხედავ — ხელებს შლის ტალღა ვაჟკაცი, რომ გულს ჩაეკრას მეორე ტალღას.

—

თვალ გაღუწვდენელ, უძიროსივრცეს, შეჯიბრებია ოკენე ცას... ზვირთთა შრიალში, ვარსკვლავთ ციმციმში, თითქოს მსოფლიოს საღამო მესმის.

—

შორს, შორს მიტაცებს ოცნების ფრთები!.. ასე მკონია, ახლოს ვარ ღმერთთან, სული კი მაინც მარტოობას გრძნობს: — ჩემო სულის ღვამე, შენ არ ხარ ჩემთან!..

ჭოლას.



## ჭ ე ნ რ ი ს ი ბ ს ე ნ ი.

### IV.

ჩვენ წინა წერილში ვსთქვით, რომ ჭენრის იბსენი წვრილ ბურჟუაზიულ კლასების ზოციან, წვრილ ბურჟუაზიის იდეოლოგია, იგი გამომსატყველია მათ წვრილ ბურჟუაზიული მისწრაფებისა.

წვრილ ბურჟუაზიამ ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ზოგიერთა ქვეყნებში, განსაკუთრებით სოფრანკეთში, დიდი ისტორიული ფაქტები შესრულეს. როგორც საშუალო კლასი, იგი სხვა და სხვა პირობებში სხვა და სხვა მიმართულებებისა, სხვა და სხვა შეხედულებებისა, ხან ერთისკენა მისი სიმშატია, ხან მეორისკენ; თავს ხან კაპიტალისტათ და ხან პროლეტარათ გრძნობს, ხან რეაქციონერი და ხან რევოლუციონერი; მისი მდგომარეობა ჩვეულებრივ ორჭოფილია. საფრანკეთის ისტორიაში მან წინ წამაყენა თავისი პროლეტარულ-რეაქციონერული მისწრაფება; იქ ის პროლეტარატს შეუკავშირდა და მთელი ათი წლობის განმავლობაში პოლიტიკურ-რევოლუციონერულ ძალას წარმოადგენდა. შეჭმნა საკუთარი ლიტერატურა, რომელიც ემყარებოდა თანამედროვე საბუნების-მეტეფილო მსოფლიო მხედველობაზე და რომელმაც დაიწყო მთელი მსოფლიო და დიდი ზედგავლენა მანდინა ევროპის ხელოვნებაზე: თანამედროვე

ნატურალიზმი უკანასკნელი და უძრეველი მიმდინარეობა ბურჟუაზიულ სულიერ ცხოვრებაში.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ წვრილი ბურჟუაზიის, ევგელან და ევგელთვის ასეთი წინ წამწევი და პოლიტიკურ-რევოლუციონერული როლი უთამაშია. ევგელან არ შეუმუშავებია საბუნებისმეტეფილო მსოფლო-მხედველობა; ევგელან არ დაუდგია ხელოვნების საფუძვლათ მიუდგომელი, განუსაზღვრელი სიუფარული. წვრილი ბურჟუაზიული კლასი, ჩვენ ვამბობთ პერმანენტული (ბურჟუაზიულ და პროლეტარულ მადგმისა) კლასია. თუმცა დვას მუდამ და ევგელთვის თავისი მდგომარეობით სოციალდების დემოკრატიული ნაწილია, დემოკრატიული მადრეკილება-მისწრაფებისა; უდემოკრატიულ ფორმებით მას არ შეუძლიან რამე სოციალდებრივი გავლენა მოიხოს, დირს-მისხნიშნავ პოლიტიკურ ძალათ შეიქმნას; მაინც იგი არ არის წმინდა პროლეტარულ მისწრაფებისა. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან კაპიტალისტური წარმოების განვითარება ევგელა წვრილ ბურჟუაზიულ კლასებს უსზობს დამოუკიდებელ არსებობას, ზღუდავს მის ეკონომიურ არსებობას; წვრილი ბურჟუაზია მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როცა იგი დიდ ბურჟუაზიულ კლასათ გადაიტყვევ, კაპიტალისტი გახდება. თუ ეს ასე არ მოხდა, მისი პროლეტარულ ლაგერში, ანუ სწორეთ, რომ, სთქვამთ, გაპროლეტარება აუცილებელი შედეგია. ამისათვის წვრილი ბურჟუაზია ელტვის და იმედოვნებს პირველათ, მხოლოდ სიულ და ეშინიან მეორისა. შიში კაპროლეტარიატებისა აძიულებს მას პროლეტარიატის სოციალური მდგომარეობა გაიზიაროს, პროლეტარული მდგომარეობა სულიერათ მაინც განიცადოს, პროლეტარულათ, თუ შეიძლება ასე ითქვას — აზროვნოს, მხოლოდ კაპიტალისტისადმი მისწრაფება ანვითარებს მასში ინდივიდუალისტურ შეხედულებას. ასე რომ წვრილ ბურჟუაზიის ზაწია გულში ორი სული ტრიალებს: პროლეტარული, სოციალური და კაპიტალისტური ინდივიდუალური. და აი ამ ორ ბუნებოვან არსებაში, სხვა და სხვა ისტორიულ და სოციალურ ხანაში, ხან ერთი მისწრაფება-მადრეკილება სჭარბობს და ხან მეორე; მისი მდგომარეობა მუდამ რევეა-ცვალებადობაშია.

ჭენრის იბსენმა სწორეთ რომ წვრილ ბურჟუაზიის ანტიპროლეტარული, ანტისოციალური აზროვნება და სულიერ კვეთება დაგვიხატა. თავის სულიერ ნაწარმოებში, ასე რომ ეთობ შეუწყნარებელია ზოგიერთა კრიტიკოსების აზრი, რომლებიც ამტკიცებენ, ვითომ იბსენი სოციალისტი ყოფილიყოს. ზღუენანვის აზრით იგი ერთობ დამოკრებული იყო სოციალისტურ შეხედულებისკან და სხვა ამგვარ თეორიებიდან, რომლებიც კი დემოკრეტიულია თანამედრო სოციალდებრივ ურთიერთობაზე. რასაკვირველია იბსენის სოციალისტობით გატაცებული მხატვრულ ლიტერატურის კრიტიკოსები დაჟინებით ამ-



ტვიცებენ მის სოციალისტურ შეხედულებას, მაგრამ ამ-  
 თ. იმავე ზღვიანობას იბსენის სიტუვიდან ერთი დამახ-  
 სიათებელი ალაგი მოყვას, საიდანაც აშკარათ გამოსჭვრეტს  
 მისი დრამატურგის სოციალური შეხედულება. სიტუმა მან  
 1885 წელს დროტჭვიგერის მუშათა ფერეინზე (კავშირ-  
 ზე) წარმოსთქვა, საცა იგი ხასგასმუფათ აღნიშნავდა,  
 რომ ნორვეგიის საზოგადოებრივი ცხოვრება მეტათ და-  
 რიბია ეგრედ წოდებულ „კეთილშობილურ ელეემენტე-  
 ბით“. და აი ამ გვარ ელეემენტებით უნდა გავამდიდრო-  
 თო. თავის დიად მიზნის მისასწევვათ, ამბობს იბსენი,  
 ზრდელეტარიტმა უმთავრესათ თავისი აზრი უნდა გან-  
 თავისუფლდეს, სხვა და სხვა შემთავრებულ ტრადიციე-  
 ბიდან და თავისი ნება გაასწავტავოს, გააშუქოს. როგორც  
 სხანს მორალურ ქადაგების საშუალებით შეიძლება ზრ-  
 დელეტარიტის საბოლოო მიზნის განხორციელება და არა  
 სოციალურ გამანთავისუფლებელ ბრძოლის საშუალებით.  
 იბსენის-მიერ გამოთქმულ აზრში ხასხიც კი არ არის  
 ზოლიტიკისა, უზოლიტიკოთ კი როგორც იგივე ზღვიან-  
 ნოვი ამბობს, არ არის არც ერთი სოციალიზმი. ზრ-  
 დელეტარიტის მორალურ „ემანსიპანცია“ მხოლოთ კლას-  
 თა ბრძოლის შეხებით მოკბება და არა დამიანის ხა-  
 სიათის და ნების გაფაქიზებით. დიდებულმა გიოტემ  
 დიდიხანია სთქვა: „ზირველათ იყო ფაქტით“ მხოლოდ  
 ამას ვერ მიხვდა ნორვეგიის დრამატურგი ჰენრის იბსენი.  
 იბსენის დრამებმა გამოიყვანა წვრილ ბურჟუაზიული  
 კლასების მორალური შეხედულება, ზნეობრივი ზრდელე-  
 მა, რომელიც წარმოიშვა მათი სოციალურ მდგომარეო-  
 ბიდან, კაპიტალისტურ საზოგადოების ურთიერთობიდან,  
 როგორც ვთქვით აშკარათ მატარებელი იყო თრ ერთ  
 მეორეს მოწინააღმდეგე ელეემენტების. სოციალურისა და  
 ინდივიდუალურისა, ე. ი. მას წინ-წამდგარებული ქანდა  
 ზრდელეტარული და კაპიტალისტური ლოზუნგი. და აი ამ  
 ჯურის აზრებით, ამ გვარ იდეებით საშუა იბსენის ევე-  
 ლა დრამები.

მთავარი განსხვავება იბსენის ხელაფნებისა და ს-  
 ფრანგეთის ნატურალიზმის შორის მდგომარეობს უმთავ-  
 რესათ იმაში, რომ თრივენი ერთხანათ არ უყურებენ  
 სოციალურ ცხოვრების მოფლენებს, ერთხანთ სიმზატით  
 არ უტქვრიან ამა თუ იმ სოციალურ-მორალურ ფაქტს.  
 იბსენი აღმიანს არ განიხილავს, როგორც ბუნების ხა-  
 წილს, მისთვის იგი სოციალური არსებაა, საზოგადოებ-  
 რივი ცხოველია. იგი დრმათ დარწმუნებულია, რომ არ-  
 სებობს ერთგვარი აღმიანის მოქმედება, აღმიანთ აზ-  
 რაფნება-შეხედულება, რომელიც ძალთან სახარალოა აღ-  
 მიანისთვის და რომელიც ბორტებათ იწოდება. არის  
 ისეთებიც, რომლებიც აღმიანისთვის მეტათ სასარკებ-  
 ლონია და რომლებიც სიკეთათ ანუ კეთილათ იწოდება.  
 იგი თვიქრობდა, რომ თავისი მორალური შეხედულებით,  
 რომელიც კი საფუძველია მის ხელაფნების, შეიძლოა აღ-

მიანების აღზდა, აღმიანებში ცხოვრების ზრინციანების  
 კადვიძება, ზნეობრივ ხასიათის შემუშავება. ერთი სი-  
 ტუვით, ეველა ის, რაც იბსენისთვის ცხოველ-მოფლელი  
 და მამოძრავებელი იყო, ნატურალურ ხელაფნებისთვის  
 ცალიერი და უშინაარსო იყო, უკანასკნელი ეველა ამას,  
 ამათ ზრინციანებათ აღვიარება.

შვარცი.

(შემდეგი იქნება).

**გაფაფხულის ძალა.**

სმინა დავცობთ დავ გულში  
 სიცოცხლის სიმი გაამა—  
 ნავადღს უცხო მსოილმა  
 არის მიუსწროთ, აამა.  
 სალამი ჩაქნგან, ნავადღ,  
 ცოცხალ მსოფრების მთრქველოთ,  
 სიამის, ვრცლოთ სალართვ,  
 სიცოცხლის დამვიდრებლოთ!  
 მიდამთ ამქვანრბული,  
 მითის ვალით მშვენიირია,  
 ცყ. მორქი ავთარბული,  
 დღის თო მსცვლიათ თრია—  
 სალამს უბღვნიან ნავადღსა,  
 ყველანი მადლიირია.

\* \*

ციმციმიძს სსივი ნათოლი,  
 ნავადღულს თამამაშიმა,  
 მარვალიცია წყლის მსოფი,  
 სსივით თო შიიშოსა,  
 იმარვალიცოთ, მსოფიშო,  
 სოლ იციმციმიშოთ, სსივიშო,  
 გამშორდი ამ დროს, გიშრძანრბ,  
 შორს ჩამვან, შავთ თვირბოთ!..

\* \*

ჩიცი ჰარში ნავადღოშს  
 ცოლიტშს დავ მსიარულით,  
 შვემა-სიამით აღვსილია  
 მისი შაწაწა გულით,  
 ჰიკიკიკოშს: „თავისოფლოშის  
 სალართვ, მიდვარბ-ჰალაშოთ,  
 თიქვრ გოცრავით, სანამ ცოცხალ ვარ,—  
 მარად დროს აქ ვავარბოთ“—  
 სოლ იკიკიკოთ, ილხინოთ,  
 სოლ ინავარდოთ, ჩიციშო,  
 რომ ცანჯულს გულით აღმოსთეს:  
 შორს ჩამვან, შავთ თვირბოთ!..

\* \*



ჩვენი ნაკადი, პაწია.  
 ჰა. დიდ მდინარეთ ცქულო,  
 მიიკლავნება მართათა  
 ცქრიალუმს, ცქრიალო,  
 მიყვარს მდინარის ედუენი  
 იდუმალ გრძნობის აღმძვრელი.  
 მიყვარს მე მისი სიმალე  
 სიცოცხლის თრთაშის შუქსმელი  
 და მისი მარად ცქრიალიც  
 იმედის დამკვიდრებელი!..

\* \*

ათ მინდა მოვუვლო დაბურულ  
 სადმე შუგალ ცყაშია,  
 ათ მინდა მსყვამა დამჩამოს,  
 გავსდო უმწყო ლუშია,  
 სიკვდილს შენს ახლო ვინაცრებ  
 მდინარე, — მცრისგან დამჩრელი,  
 მსყუებით მთიწმინდება,  
 წყლოლი სისხლითა მისილი,  
 მსყეს ათ მსყვადეში წილათა  
 შენს გულში გავმოსრთილი!..

\* \*

სულ იცქრიალო, მდინარე,  
 ამწვანდით ცყა-ვალ-მინდვრებო,  
 თქვენ კი შორს ჩემგან ციალო, —  
 გავშორდით შავთ თიქრებო!..

გ. გელა.

# შაკი გველი

(გაგრძელება. იხ. სხვი № 11)

## მოქმედება მეორე

(სცენა წარმოადგენს მორთულ დარბაზს. კედლებზე სურათები კილია; სურათების უმეტესი ნაწილი პეიზაჟებია. ცხოველებია, ყვავილები, ვარსკვლავთა გუნდები და სხვა ამკვარი. ჩანს წიკნებით გამოტენილი შაკი. მაგიდაზედაც ბლომათაა წიგნები. შაკიდან ტელესკოპი მოსჩანს. იქავეა სხვადასხვა ქარურგიული ინსტრუმენტები. ერთ მაგიდაზე პლანეტარი და ტელურია).

### გამოსვლა I

(ვარლამი და მარო)

(ვარლამი მაგიდას უზის წამკლავებული და დაქრილ ბაყაყს ათვლიერებს)

**მარო.** (შემოდის) გამარჯობა!

**ვარლ.** (დგება და ხელს ანთმევს) ოო, გაგიმარჯოსთ! გაგიმარჯოსთ! დაბრძანდით!

**მარო.** ნუ სწუხდებით, ვიახლებით: (ჯდება).

**ვარლ.** სხვა, როგორ გიკითხოთ მარო, ხომ კარგათ?

**მარო.** გამაღობთ! გუშინს აქეთ არაფერი შემხვედრია და მინამდე, თუ რამე მოხდა, თქვენც კი იცით... (იცინის)

**ვარ.** დიახ, მართალია... ვიცო, ვიცო!..

**მარო.** სხვა თქვენ კიდევ პირუტყვთა ჯალათობას განაგრძობთ? (შიფა და ბაყაყს დახედავს) უი, ღმერთო ჩემო, ბაყაყი! გუშინ თქვენგან გატყავებული თხუნულა ვნახე და ის იყო კნაღამ გული შემოწუხდა. მიკვირს, ღმერთმანი, როგორ ითმენთ... ნამეტანი გულმაგარი ბრძანდებით...

**ვარლ.** (ღივილით) თქვენ კი საწინელი გულჩვილი, გრძნობიერი არსება ხართ...

**მარო.** რას იზამთ, ასე ვარ შექმნილი... (შაუხს) უკაცრავათ მკონი ხელი შევიშალეთ, თუ ასეა, მე ეხლავე წავალ... (დგება)

**ვარლ.** როგორ შეიძლება?! პირიქით, დიდათ მასიამოვნეთ თქვენის მოსვლით; უკაცრავათ მე ვარ, რომ მუშაობას თავს არ ვანებებ. (დგება) ეხლავე აქაურობას დავალაგებ, სამუშაო კოსტიუმს მოვიშორებ და ვიმზიარელოთ.

**მარო.** მე ასე მგონია ხელი შევიშალეთ!

**ვარლ.** დაიჯერეთ. რომ არა. სამუშაო მე თითქმის დასრულებული მქონდა. (აღაგებს მაგიდას. მარო შეაფებს ათვლიერებს. ვარლამი ხან გადის, ხან შემოდის) მაპატივეთ; მარო მაპატივეთ!

**მარო.** არა უშავს...

### გამოსვლა II

(მარტო მარო)

**მარო.** ღმერთო ჩემო, რა მემართება? აზრი მებნევა, გონებაზე ვერ მოვსულვარ! (ჯდება) აღამიანი ღმერთად მყავს დასახული და ის მგონი არაფერსაც არ გრძნობს!.. (შაუხს) მინდა ვუთხრა, მარო როგორ გავებო! მე უბრალო ვინმე, სოფლის მასწავლებელი და ის მეცნიერი!.. როგორ შეიძლება, რომ მე შემოიყვაროს, ჩემი გაამხანაგება მოიწადინოს? არა, ეს შეუძლებელია... (შაუხს) მე კი... მე კი უნისობა არ შემიძლია... ის ჩემი ბავშვობის მეგობარია, მის სახეს პატარაობიდანვე ატარებს ჩემი გული და დღემდის ვერ გამომხელია ჩემი გულის ნადები... (შაუხს) მარო იქნება მას კიდევ უყვარს ვინმე, აკი ამდენი ხანი ქალაქში იყო. მართალია წერილებს კი მწერდა, მარო... შაკ ხომ უბრალო მეგობრობის მეტი არაფერი ყოფილა. ისიც მართალია, რომ საიდუმლოებას არ მიმალავდა, მარო... ჰჰ... ხომ ყველაფერი არ ითქმება! (შაუხს) ღმერთო, რაქნა? რო ვუთხრა მას კი ვინმე სხვა უყვარდეს და მე უარი მითხრას, მე-



რე რა ვქნა, სად წავიდე? მერე ხომ თვალთ ვერ დავენახები, მერე ხომ ყოველ-გვარი კავშირი და მეგობრობა უნდა მოისპოს ჩვენშორის! ღპერთო, რა მდგომარეობაში ვარ! აკერ ერთი თვეა რაც სოფელში ჩამოვიდა, ამ ხნის განმავლობაში ყოველ წამს ვცდილობ ვუთხრა, მარა ვერ გამიბედვია... ობ!.. (ჩაფიქრდება)

**გამოსვლა III**

(მარო და ვარლამი)

**ვარლ.** მოგიწყენიათ მარო, რათა?

**მარო.** (გამიარკვევს) ოო! მე სრულებით არ მომიწყენია...

**ვარლ.** მოიწყენდით რასაკვირველია, როდესაც მასპინძელმა ასე მოგატოვეთ, მარა არა უშავს...

**მარო.** ტყვილა წუხდებით, ღმერთმანი!

**ვარლ.** რით გვატაროთ, მარო, დრო? განვადგომოთ ჩვენი საუბარი ისტორიაზე და ფილოსოფიაზე, თუ სხვა რამე?.. თქვენ როგორ გნებავს?

**მარო.** რაც თქვენი სურვილი იყოს.

**ვარლ.** როგორ თუ ჩემი? ერთად ერთი მეგობარი მყავხართ აქ და უნდა მოგაწყინოთ? ეს მიუტევებელი ცოდვა იქნება ჩემის მხრით...

**მარო.** არა ნუ წუხდებით! რაც თქვენ გენებოს.

**ვარლ.** მაშ ჯერ გიტარა და ჩონგური და მერე კვლავ ტიერი, მირაბო, მაკაგონი და სხვა. კვლავ განვადგომოთ ისტორიის წითელი მათიანეს ფურცვლა!..

**მარო.** თანახმა ვარ. (ვარლამი შეაფიქრან გამოიღებს გიტარას და ჩონგურს. გიტარას მარცხს გადასცემს, თვითონ კი ჩონგურს დაიჭერს. დაუკრავენ სხვადასხვა სიმღერებს და რამანებს. უცებ მარცხს ქვითინი აუვრდება),

**ვარლ.** (შეშით) რა იყო, რა ამბავა მარო? რა მოგივიდათ?.. (მარო ხმას არ სცემს და ქვითინს უმატებს) მარო, მითხარით რა მოგივიდა!.. წყალი! (მირბის).

**მარო.** არ მინდა... არა... არა... ნუ... ნუ... (ვარლამი მობრუნდება).

**ვარლ.** მაშ რა იყო, რა ამბავია? რაშია საქმე?

**მარო.** არაფერა, რა უნდა იყო!.. (დგება ღარცხვენით და წასვლას აპირებს)

**ვარლ.** თქვენ არ მომიკვდეთ ისე არ გაგიშვათ! როგორ შეიძლება? ჯერ გამაგებინეთ რაშია საქმე, რისთვის იტირეთ და მერე თქვენი ნება იყოს.

**მარო.** არა ვარლამ! აქ ისეთი არაფერი ყოფილა, გთხოვთ, გემუდარებით გამიშვათ... აქ არაფერი არაა...

**ვარლ.** როგორ თუ არაფერი? აქ რალაც ამოცანაა, თქვენ მალავთ. მე უსათუოდ უნდა გავიგო, რაშია საქმე! ნუ დამიმაღავთ, მარო...

**მარო.** არაფერია, სრულებით არაფერი. ჩემი ძმის საკვდილი მომავონდა და იმისთვის...

**ვარლ.** რალა ახლა მოგავონდათ? არა, არ მჯერა, აქ სხვაა რალაც...

გ. მაღალაქიაშვილი.

(შემდეგი იქნება)

**მ ი ჭ ქ რ ი ს!**

...და ის მიჭკრის.

წინ, სულ წინ,—შეუპოვრათ და გულადათ, ამაყათ და ძალოვნათ მიიმართება და ქედ-შეურყველათ სთელავს ყოველივეს, რაც წინა ხვდება!..

მან დალაღვა არ იცის; მან შესვენება არ იცის; მან სიბრალული არ იცის; მას გულ-გრძობა არა აქვს; მას მხოლოდ ერთი კანონი სწამს: ეს არის წინსვლა, ეს არის მომავლისკენ მისწრაფება, ეს არის წარსულისკენ დაუბრუნებლობა, ეს არის აწმყოთი დაუკმაყოფილებლობა.

და ის მიჭკრის!

ის მუდამ ნორჩია, ის მუდამ ახალგაზდაა, ის მუდამ ძალოვანია!

ერთი შეხარის მის სრბოლვას; მეორე სტირის მის წინ მისწრაფებას;

ერთი ებრძვის მის წინსვლას, მეორე იბრძვის მის წინმსვლელობისათვის!..

მრავალი ცდილობს,—შეაჩეროს იგი; მრავალი ცდილობს—სისხლისა და ცრემლის ზღვა გადაუღობოს წინ მის მსვლელობას!

მაგრამ ის მაინც წინ მიდის, ის მაინც ლეწავს და ანგრევს ყოველივე დაბრკოლებათ, ლეწავს და ანგრევს მის შესაჩერებლათ აღმართულ ჯებირებს!

ამიტომ მე ის მიყვარს!

მიყვარს მე იგი მარად მმოძრავი, მარად ძალოვანი და ქედ მოუხრელი!

\* \* \*

ღღეს ბნელა! საშინლაა ბნელა! ამ სიბნელეში მხოლოდ აღ-ქაჯნი დანავარდობენ თავისუფლათ... ამ სიბნელით უნდათ მას გზა შეუკრან, მისა ბორბლები შეაჩერონ!

მაგრამ ის მაინც მიჭკრის, მაინც მიარღვევს ამ სიბნელეს და ვით შეფერის უძლველ გმირს, ჩვეულებრივ განაგრძობს თავის ღიად გზას.



და მე მიხარია, მე აღტაცებული ვარ, რომ მათი ცდა უნაყოფოა, რომ ის მაინც წინ მიქრის.

\* \* \*

ცივა კიდევ! ესე ცივა, რომ ლამის მთლათ გავიყინოთ! კბილები შეკრული გვაქვს სიცივისაგან და ლაპარაკს ვერ ვახერხებთ!

მათ აავეს ყინულთა უზარმაზარი კედლები, რომ მას გზა შეუკრან, რომ ის არ გაუშვან წინ, რომ ის ჩამწყვდიონ აქ და თავის ნებაზე ატრიალონ!

მაგრამ ის არც ყინულთა კედლებს უფრთხის, მას ვერც ესენი აჩერებს! ის ისე ძლიერია, რომ მათ ნაცრათ აქცევს და წინ, მაინც წინ მიქრის!

და მე აღტაცებაში მოვდივარ! თვალთაგან სისიხარულის ცრემლი მომდის და მინდა შევსძახო: ჩვენო მხსნელო! რა დიდებული ხარ, რა ძლიერი ხარ, რა მომხიბლავი და ლამაზი ხარ, როცა ასე ამაყათ მიჭკრი წინ, როცა არ უფრთხი არავის, როცა არ ემორჩილები არავის, როცა მხოლოდ შენ კანონს ასრულებ, რომ სულ წინ იქროლო, სულ წინ ისწრაფო და ტანჯულნიმიაახლოვო საუკუნოვებით ანატრებულ ბედნიერებას! ძლიერი ხარ შენ, ამაყი ხარ შენ, ლამაზი და მომხიბლავი ხარ შენ, ქედ მოუდრეკელო, მარადის წინ მსრბოლო!..

\* \* \*

ჰო, ის მიჭკრის! კვლავ მიქრის წინ! მუდამ იქროლებს ასე, რადგან ასეთია კანონი მისი და მან იცის ასრულება ამ კანონისა!

მიჭკრის!.. და მე ეს მახარებს, მიტაცებს, მხიბლავს!..

ჰო, დღეს სიცივ-სიბნელოში ვარ, დღეს სულგული მეყინება, მაგრამ როცა მოვიგონებ, რომ ის მარად უამს წინ მიქრის, როცა წარმოვიდგენ, რომ, აი, ამ წუთსაც მიჭკრის, ჩქარა გაანგრევს ამ სიცივ-სიბნელის კედლებს, ქვეყანას კვლავ მზე და სინათლე მოეფინება, ალ ქაჯნი ველარ მომეკარებიან, მაშინ, დიახ, მაშინ გულზე მეშვება, თვალთაგან თითქო ბინდი მეცლება, ტანში თითქო უფრო სითბოსა ვგრძნობ, თვალწინ მეხატება აუწერელი წარმტაცი სურათები, ვხალისდები, ვცოცხლდები და აღარ მინდა ტირილი, აღარ მინდა ოხვრა-კვნესა, არამედ მინდა მხოლოდ სიცილი, სიხიარულე, აღტაცება და გავარდნა მთა-ველათ, გაშლა ფრთის და გაწევა წინ!..

რადგან ის მიჭკრის, სულ წინ მიჭკრის, თამამათ მიჭკრის, შეურყეველათ მიჭკრის!

ილ. მგულაძე.


# ს კ ა მ ს ქ ე ე შ

(მ. ბულიკოვისა)

შემოდგომის ღამე იყო. ქრი საშინლათ ღმუღლა... ცივი და წვრილი წვიმის წვეთები თავისუფლათ მიძვრებოდნენ ტანსაცმელში და ადამიანის სხეულამდე ატანდნენ... რკინის გზის მატარებელი კი არხეინათ მიჭკროდა. მატარებლის პირველ კლასში თბილი და საამური სამყოფი იყო. იქ, რბილ მდივანზე, რომელზედაც წითელი ხავერდი იყო გადაფარებული, მხართედოზე წამოწოლილიყვენ ჩასუქებული, მადღრები, მდიდრულათ მორთულნი, ახალგაზრდები, მოხუცნი და თავიანთი თავის კმაყოფილნი, ერთი მეორეში მხიარულათ მუსაიფობდნენ. ზოგიერთები კი ჩუმათ იყვენ და შემოდგომის უმთავრო ღამეში ბუნების მშვენიერებით ველარ სტკებდოდნენ. სამაგიეროთ ამ დროს ვინ იცის რა და რა ფიქრები და სხ. და სხ. გვემები არ ებადებოდათ იმათ თავში... მეორე კლასშიაც თითქმის ასე იყო. მესამენი კი ბნელოდა. სიბინძურე და სივიწროე იყო. მთელი ბრბო გლახებისა და დედაკაცებისა, ძუძუმწოვარა და მოზრდილი ბავშვები, კალათები, ტომრები, ჩემოდნები და ათასნაირი ხაბაკ-ხუბაკები ერთი მეორეში იყო არეული, ხალხი თითქმის ერთი მეორეს აჯდა თავზე. სანთელი ფანარში დიდი ხანია ჩამქრალიყო, მარა ყურადღებას არავინ აქცევდა. კარებს ყოველ წამდაუწუმ აღებდნენ, სიდანაც შემოიჭრებოდა ცივი მაგრამ მყრალი ჰაერი. თაროები და საჯდომები დატვირთული იყო ხალხით და ათასნაირი ნიკთებით, — რომლებთაც საშინელი სუნნი ასდიოდათ... ისმოდა ბავშვების წივილ-კვილი, უშვერი ლანძღვა გინება, მძინარეთა ხვრინვა და სტკენა.

არის კიდევ ერთი კლასი... თუმცა მართალი გითხრათ მეძნელება ამ კლასის სახელის თქვა. მგზავრი ამ კლასისა მოგზაურობს სკამს ქვეშ... აი ის შემძვრალა იქ ისე მოუკუნტავს თავისი ტანი, რომ პატარა ტომარას უფრო დაუგზავსებია, ვინემ ადამიანი. ის თითქოს მომკვდარაო სულსაც აღარ ითქვამს. უხეირო წოლის გამო სხეული საშინლათ დებუებულია და სტკირა საბრალოს. მაგრამ ის განძრევასაც ვერ ბედავს, ეშინია არავინ გაიგოს მისი იქ ყოფნა. ნუგეშობს იმით, რომ საკმაოთ ბევრი გზა გაიარა, თუმცა ამ უხერხულ მდგომარეობაში უფრო ურჩევნია მას ვინემ იქ სადაც მისი მეზობლების საშინელი ლანძღვა გინება ესმის. მეორე და პირველ კლასსაც კი ურჩევნია თითქმის... მის გვერდით, იატაკსა და კედელშუა, პატარა ქუქუტანა ყო-





ფილა, საიდანაც ცივი შემოდგომის ქარი მოსისინებს და მის სხეულის ნაწილს ლურსმანივით ჩხვლევს, ოდნავ ესმის ცივი წვიმის ხმაც და უხარია, რომ ის ამ წვიმაში ფეხით არ მიდის დასველებული და გაყინული, არამედ მატარებლით მიემგზავრება... თუ არა ეს კლასი, მისთვის ფეხით მოგზავრობა იყო აუცილებელი. რადგანაც ის უმუშევარია. მას ყავს ცოლი და ორი შვილები... ამავე დროს ორი კვირის სამუშაო ძლივს იშოვა მეტი ვერა. ცხოვრება, ჭამა კი უნდა... ისიც ეძებს სამუშაოს... აი ის მიდის კიდევ სამუშაოს საძებნელად... მაგრამ ღმერთო ჩემო ეს რაღა წასვლაა!.. ის ხომ ქურდი, ავაზაკი არ არის, არამედ პატიოსანი მუშაა, მაშ რატომ უნდა ემალებოდეს ადამიანებს სკამს ქვეშ, როგორც უკანასკნელი საზიზღარი ადამიანი?!.. იმას ის არ მიაჩნია სასირცხოთ, რომ კანდუქტორებს ემალება, კანტროლის ეშინა; ამას კიდევ აიტანდა, როგორც იცის მათი ამბავი, მათი სულისკვეთება... მას ის უკლავს უფლს, რომ მისივე მეზობლები, მასავით ღარიბები, მისივე ძმები, რომლებიც მასთან ერთად მიდიან მესამე კლასით, ზიზღით უყურებენ. მერე რატომ?! ოხ ღმერთო! ეს აუტანელია. განა მე დამნაშავე ვარ, რომ ბედნა ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩამავდო?!.. ოხ ღმერთო, ღმერთო... — ამოიგინა მან და უამედობისაგან გულ აჩვილებულს თვალთაგან ცრემლები წასქდა. სტიროდა და თან ცდილობდა მისი ხმა არავის გაეგონა, როგორც იყო დაწყნარდა და თავისი ფიქრები უიმედოთ, უპატრონოთ დატოვებულ ცოლშვილზე გადაიტანა... მას ამ დროს საშინელი სურათი წარმოუდგა თვალწინ. გაივლის ერთი ან ორი თვე და ყოველივე ცხოვრების სახსარი გამოეღვევა... სამუშაოს ვერ იშოვას... დახმარებას არავისგან მოეღას... მერე ღმერთმა იცის რას იზამს ახალგაზრდა ქალი? განა ცოტანი არიან უსინდისონი რომლებიც სარგებლობენ შემთხვევით და... მერე ბავშვები? საბრალო ჩემი ბავშვები!.. ისინი, უქმელ-უსმელობისა და სიცივისაგან ნელნელა ჩხირივით ჩამოხმებიან... საწყლები, უდანაშაულო, უცოდველი მტრედები!! — მადლობა გამჩენს! — ღმერთს საქმეა რაც იქნება — გაიფიქრა მან ბალოს და ტანჯულ-წამებულმა, თვალები დახუჭა, მიიძინა.

მატარებელი კი მიქროდა, ქარიც წინანდებურათ წიოდა და წვრილი, ცივი წვიმაც განუწყვეტლივ უშხაუნებდა ფანჯრებზე. პირველ და მეორე კლასის ვაგონებში კი სინაოლე კვლავ დღესავით ანათებდა და ბატონების მხიარულ სახეზე ციმციმებდა. ხოლო მესამე კლასის ვაგონებში კი საცოდავთ ბეუტავდა, ბალავდა საშინელ სუნს აყენებ-

და. მაგრამ უბრალო ხალხი ხომ შეჩვეულია ყველაფერს... მისთვის სკლეროზი სადაც დაიძინებს. ზოგი იჯდა, ზოგი ერთა მეორეს აწვა თავზე და ასე ხერინავდენ... გაიღო ვაგონის კარები, საიდანაც საშინელ სიცოცხლესთან ერთად ფარნის სინათლემაც შემოანათა, რის შემდეგაც კონდუქტორის რიხიანი ხმაც მოისმა:

— მოამხადეთ ბილეთები ბატონებო!

— თქვენი ბილეთი? — შეუტია მან ერთ გლესს, რომელსაც ის იყო თვალები გაეხილა და ჯერ ვერც კი გაეგო კარგათ თუ რაში იყო საქმე.

— ბილეთი თქვენი?!

გლესმა გამოურკვეველათ შეხედა კონდუქტორს, ტბილათ დაამჩნარა და აუჩქარებლად დაიწყო ფოთილი.

— გვალისება? — მოუთმენლათ დაუყვირა ობერმა და თან სკამს ქვეშ დაიწყო ცქერა. კონდუქტორმა სტაკა ხელი გლესს და მაგრათ დაუწყო ნჯღრევა.

— ჯირკო! ბილეთი მოიტანე, ბილეთი, გესმის ბილეთი!..

გლესმა მხოლოთ ეხლა გაიგო რაშიაც იყო საქმე. პირველ ყოვლისა კარგათ აათვალღერ-ჩაათვალღერა მოსული კონდუქტორები, და ხელის ფათური დაიწყო ჯიბეებში. სინამ გლესი ბილეთს იპოვიდა ბევრისათვის უკვე ჩამოერთვათ ბილეთები.

— ააა! — წაჰკრა მან გვერდში მუჯლოგუნე კონდუქტორს. კონდუქტორმა ბილეთი ხელიდან გამოგლიჯა, ობერს გადასცა და კვლავ განაგრძო: — აბა ბილეთი მოამხადეთ ბილეთი ყვიროდა ის და მიდიოდა წინ მაგრამ... უცებ რაღაცას ფეხი წამოჰკრა და კინაღამ იატაკზე გეიშლართა!.. უკვე გამოღვიძებულ ხალხში გულიანი ხარხარი გაისმა. კონდუქტორი, დაიხარა და სკამს ქვეშ შეხედა.

— ფეხები!.. ოჰოო!.. კარგი ალაგი ამოურჩევია თქვენმა მზემ... ალბათ ვინმე პირველი კლასის მგზავრი თუ ბრძანდება. უთუოდ სძინავს; საფრთხილოა არ გაეღვიძოს. — დაცინვით სთქვა კონდუქტორმა და ფარანი სკამს ქვეშ შეანათა, რომლის ნათელი შუქი პირდაპირ თვალებში მოხვთა ვანკას. ის სანთლის შუქზე უსიამოვნოთ შეიშმუნა და მეორე გვერდზე დააპირა გადაბრუნება, მაგრამ კონდუქტორმა შეაჩერა.

— უკაცრავათ! გეყოფა ძილი ძმობილო. ეხლა აქეთ გამობრძანდით თუ შეიძლება. — დაცინვით ეუბნებოდა კონდუქტორი და ფარანი პირდაპირ თვალებში მიანათა. — იშ!.. გაგრძელებულა თავისუფლათ, თითქოს საკუთარ სახლშიაო. რა ბიქია... უფულოთ გნებავდათ გასეირნება?.. მაშაშენის ურემი ხომ არ გეგონა?! რა ეშმაკი ყოფილხარ... აბა ჩქარა, ჩქარა გამოძვირი...



ამ სურათის მნახველი გლახები კი გულიანათ ხარხარებდნენ... ზოგიერთებმა კიდევ წამოიძახეს დაცინვით:

—ნუ უშლით, ძილს ნუ უფრთხობ კონდუქტორს რა არის ცოტახანს იძინოს;—ბალიში მიართვით ბალიშიო — იძახდნენ აქეთ-იქიდან და თან გულიანათ ხარხარებდნენ.

საცოდავმა ვანკამ, კარგა ხანია გაიღვიძა და მიხვდა, რომ კონდუქტორს ჩაუყარდა ხელში, მარა გაჟოსვლას კი ვერ ახერხებდა. თვალეი უაზროთ დაეკეცა. კონდუქტორიც რალაც საშიშარ მხეცათ წარმოუდგა. ის უცებ მეორე გვერდზე გადატრიალდა თითქოს კუქრუტანაში აპირებს გაძრომასო ფრთხილათ დაიწყო გამოსასვლელათ მზადება.

—ეხ, რა ახორებული კაცი ყოფილხარ!.. მოუთმენლათ წამოიძახა კონდუქტორმა, ფარანი ობერს გადასცა, სტაცა ფეხში ხელი ჯიუტ მგზავრს და გამოთრევა დაუწყო.

—თავი დაანებე ბ-ნო კონდუქტორო, რატომ აწუხებთ მაგ კაცს, რა არის ცოტახანს იძინოს... იცინოდნენ გლახები.

ვანკა მალე თავისთავათ გამოძვრა სკამს ქვეშიდან, ნელა წელში გაიპართა და ზიზლით თვალი მოავლო დამკინავ გლახებს. იმათ კიდევ მეტათ აუტყდათ სიცილი.

ვანკამ გლახებისაკენ ზიზლით პირი მიიბრუნა, უნდოდა რალაც ეთქვა მაგრამ კონდუქტორმა შეაჩერა.

— ბილეთი თქვენი!

— მე ბილეთი არა მაქვს—უპასუხა ვანკამ თავის ძირს დახარა.

— მაშ როგორ?..

— ისე... განა უბილეთოთ ცოტანი დალიან?

— ოჰო... ამას ლაპარაკიც, რომ სკოდნია.— ჩაერა იქვე მდგომი ობერი. წავიდეთ ჯერ სხვისი ბილეთები გავსინჯოთ, მავასთან შემდეგ გავსწორდეთ!.. ამ სიტყვებით იმათ თავიანთი საქმე განაგრძეს. ვანკას კი უსაქმო და სულელი ხალხის დაცინვისათვის მეტი ყურადღება აღარ მიუქცევია, ის აუჩქარებლათ ჩამოჯდა ფანჯარასთან ახლო და მწარე ფიქრებში გართულმა უკუნეთ ლამის წყევლიადში დაიწყო ცქერა. თუ რას ფიქრობდა ამ დროს, ის მხოლოდ ღმერთმა იცის.

შეძლება ის იმას ფიქრობდა თუ როგორ წასულიყო ფეხით ამ საშინელ ცივ, წვიმიან უკუნეთ ღამეში. ან უპატრონოთ დაყრილი ცოლშვილი თუ მოაგონდა. ვინ იცის იქნება ხალხს იხსენიებდა წყევა-კრულვით მათი უზრდელობისა და სიმკაცრე-უგულობისათვის?.. არავინ იცოდა ის ამ დროს რაზე

ფიქრობდა. მხოლოდ ფიქრობდა და ფიქრობდა მანამ სანამ უკან დაბრუნებულმა კონდუქტორმა ფიქრი არ შეაწყვეტინა და არ უბრძანა თან გაჰყოლოდა. კონდუქტორმა ვანკა მატარებლის აივანზე გაიყვანა.

— აბა, გვიბოძეთ ფული...— მოკლეთ და გარკვევით მიმართა მას ობერმა, რა დაინახა იქ იმ სიბნელეში ამ დროს მათ მკტი არავინ იყო.

— თქვენ მემასხრებით მგონია ბატონო— მიუგო ვანკამ.

— მასხრობა რომელია, ჩემო ძმაო— გაცხარდა ობერი. მე მართალს გეუბნები. ფული მოიტა ბევრს ნუ ლაპარაკობ.

— თუ კი არ მაქვს? ფული თუ მქონებოდა არც სკამს ქვეშ შეგძვრებოდი.

— ჰმ!.. არც ფული და არც ბილეთი!.. მაშ მუქთათ გასეირნება გნებავთ რალა??

— ფული თუ მქონოდა არც თქვენ გკითხავდი ბ. ობერო!

— ლაპარაკი კი ძალიან გცოდნია! აბა ერთი ის გვობრძანეთ სად გისწავლიათ ასელი ლაპარაკი?

— ცხოვრებამ დამასწავლა...

— კარგი... მაგრამ საქმეს ეს არ შეველის. კმარა ნუ ნაზობ მოიტა რამდენიც გაქვს... რა გაეწყობა.

ვანკამ პასუხის მაგიერ მწარეთ გაიღვიძა.

— ჩქარა ჩემო ძმაო თავს ნუ იკატუნებ... ხომ ხელავ რა სიცივეა. მოიტა ბარემ— მოუთმენლათ უთხრა ობერმა და ხელი წაჰკრა.

— თუ კი არა მაქვს რა მოგცეთ! არა მაქვს— კატეგორიულათ მიუგო ვანკამ და პირი მიიბრუნა.

— მაშ რა გქნათ?

— რაც გნებავთ ის ქენით.

— გინდა ჟანდარმთან წარგადგინოთ?!

— თქვენი ნებაა... ფული კი მე არა მაქვს.

— მაშ კარგი, კმარა ლაპარაკი. თვალყური აღევნე შემდეგ სადგურამდე არაფერი მოიპაროს— უბრძანა ობერმა კონდუქტორს.— მაგენი ცოტა სხვა-ნაირი ხალხია.

— უკაცრავათ!.. მე ქურდი არ გახლავარ. სპიჩქასავით ანთო ვანკა.

— ეშმაკმა ისიც თქვენი თავი... აბა სკამს ქვეშ რალას ძვრებით თუ რავე არ გინდათ მოიპაროთ... იქ რალაცას ეძებთ..

— სკამს ქვეშ თუ ეძვრები იმიტომ, რომ ბილეთის საყიდელი ფული არა მაქვს... სამუშაოს საძებნელათ მივდივარ... სახლში ცოლშვილი შიმშილით მებოცება... მე თითონ მთელი ღღეა არაფერი მიჭამია... იმიტომ რომ ფული არა მაქვს... მაგრამ



ქურდი კი არ გახლავართ ბ. ობერო... უკაცრავათ ბრძანდებით მე ქურდი არ გახლავართ.—საშინლად ცხარობდა გულმოსული და აღელვებული შეურაცყოფილი ვანკა.

— ეშმაკმა ნუ იცის თქვენი თავი?.. იმავე კილოთი გაიმეორა ობერმა და აჩქარებული ნაბიჯით გავიდა. მეორე კონდუქტორმა კი ვანკა წინანდელ საჯდომზე მიიყვანა და ბრძანებდასამებრ შემდეგ სადგურამდე აღარ მოშორებია.

ისინი ჩუმად ისხდნენ ისე, რომ ერთი მეორეს არც კი უტყუროდნენ. შეატყობდით, რომ მათთვის სასიამოვნო არ იყო: ერთისათვის ის, რომ ბრძანებას ასრულებდა, რაკი ქრთამის აღება მოუხერხებელი შეიქნა, და არა საწსახურს და მის ნამდვილ მოვალეობას. მეორესათვის ეს, რომ გრძნობდა შტურაცყოფას და ადამიანის მახე უსამართლო ბრძანებლობას, რომელსაც ამჟამათ მის გვერდით მჯდომი კონდუქტორი ასრულებდა. მათ უხერხულ მდგომარეობას ბოლო მოულო მატარებლის სტვენამ, რომელიც ყრუთ გაისმა შემოდგომის ღამის წყვილადში და ძლივს იმათ თანჯარამდეც მიაღწია.

ბორბლებმა ქრიალი მორთეს, ვაგონები ერთი მეორეს მიეჯახნენ, რამოდენიმე საუენი კიდევ გაიარეს, ერთმეორეს მიეხალენ და გაჩერდნენ.

— აბა... სადგურზე მსვედით!..— მიმართა კონდუქტორმა ვანკას და ზეზე წამოდგა...

— წავიდეთ ძობილო!  
ვანკა უსიტყვოდ წამოდგა, და დაღვრემილი სახით გაჰყვა უკან კონდუქტორს.

-- გიჩვენებენ სეირს, გაიგებ როგორ უნდა უბილეთაოთ სეირნობა.ო მიაძახა უკანიდან ვანკას ერთმა გლეხმა რომელიც წვლან სხვებთან ერთად ვანკას დასცინოდა.

ის არც შეცთა:--ვანკას მართლაც საკმაო შეურაცყოფა მიაყენეს. დიდხანს უყვიროდა და ლანძღავდა ჟანდარმა, და თან გზის ფულს ერთიორათ სთხოვდა. მას არც სადგურის „სტოროქმა“ დააკლო ხელი. მან ზიზლით აათვალიერა ჩათვალიერა ვანკა და მისი თხოვნა, რომ ის სადგურზე დარჩენილიყო იმ საშინელ უკუნეთ ღამეში ღამის გასათევათ--ახლოსაც არ მიიკარა და კარები უჩვენა...

ვანკაც გამოვიდა და წავიდა... მაგრამ გააყოლა რა შურიით თვალი მიმავალ მატარებელს და გაჩირადანებულ პარველ კლასს, მან გაიგო და დარწმუნდა, რომ **იმას ვისაც გაჭივრება არ გამოუტლია, გაჭივრება რა ხილია არ იცის!.. სიღარიბე ხელშეუხებელია; ადამიანი მკაცრი და უღმო-**

**ბელია;— მან სიბრალული არ იცის, თანაგრძნობა არა აქვს, მან იცის მხოლოდ სუსტი არსების დამონება, დამორჩილება... ფული კი—ბოროტებაა...** ამ ფაქრებით ვანკა მიდიოდა მაგრამ სად, არც მან იცოდა... ქარი კი საშინლად სისანებდა, წვრილი და ცივი წვიმა ძვლებამდე ახწევდა... მატარებელი კი სულ წინ მიქროდა, მირახრახებდა და ბელნიერებიც თან მიჰყავდა.

ს. თავართილიძე



რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე.

# \*\*\* ს ს ი ვ ი \*\*\*

ქურნალში მონაწილეობას ღებულობენ: ნ. აზიანი, ახსპირელი, ბ. გელა, კ. გოგლაძე, ივ. კამარელი, ნ. ზამქელაძე, შ. იასმანი, ზ. ირეთელი, ა. ლაღიანი, ლეო, რ. ლეჩხუძე, ვ. მალაქიაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაქვინიძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუხაძე, ფ. რუშაგელი, ვ. ტუქსიშვილი და სხვანი.

ქურნალი ღირს:

ერთი წლით	—	—	5 მან.
სახევარი წლით	—	—	2 „ 50 კ.
ერთი თვით	—	—	50 „
თითო ნამერი	—	—	10 „

ქურნალის გამოწერა შეიძლება თფილისში: გაზ. „ჩვენი გაზეთი“-ს რედაქციაში: პ. კალანდაძესთან; წიგნის მაღაზია „ალიონში“ ვ. გადილიასთან და სტამბაში— „ბეკდვითი საქმე“-ს მოხელეთა ამხანაგობასთან, სათავად-ახნაურო ქარვასლაში, № 241.

## ქ ა ლ ა მ ბ ა რ მ თ

ქუთაისში: წიგნის მაღ. „იმერეთში“; სამტრედიაში: რკ. გზის შკ. ყ. კობალეიშვილთან; ბათუმში: მიხაკო კალანდაძესთან; რკ. გზის შკ. გ. მახარაძესთან; ქუთაისში — მასწ. ხუროძესთან; ვლადიკავკაში — დ. ერქოზაიშვილთან; ზუგდიდში — ნ. ქურდიძესთან; ხონში — გ. მებუქესთან; ბაქოში — ან. დოლიძესთან; ჩოხატაურში — წიგნ. მაღ. ს. თავართილაძესთან; ოზურგეთში — წიგ. მაღ. მ. თალაკვაძესთან; და რკ. გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисеъ, Типографія Т-ва „Печатное Дѣло“, Дворцовая ул., домъ Груз. двор. № 141. Кириллу Герасимовичу Габунія.